№ 81 აპრილი 13, კვირა 1886 აპრილი 13, კვირა № 81

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

უქმეების გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 17 აპრილს.

გაზეთი „ივერია“ 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

ტფილისი, 13 აპრილს

ქრისტე აღზდგა!... აღზდგა ჯვარ-ცმული იგი ღმერთი, რომელმაც ჰსთქვა: «ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი, ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული მისატევებელად ცოდვათა».

აღზდგა იგი ღმერთი, რომელმანც გვიანდერძა ჩვენ ურთიერთის სიყვარული და გვითხრა: «ამას გეტყოდი თქვენ, რათა სიხარული ჩემი თქვენთანა ეგოს და სიხარული თქვენი სავსებით იყოს. რამეთუ ესე არს მცნება ჩემი, რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ.»

აღზდგა იგი დევნული, ტანჯული, ვნებული ღმერთი, რომელმან ხსნად ჩვენდა გვითხრა ჩვენ: «უფროსი ამისა სიყვარული არვის აქვს, რათა სული თვისი დაჰსდვას მეგობართა თვისთათვის.»

აღზდგა იგი მეუფეთა-მეუფე, რომელმანც აღადგინა ღირსება ადამიანისა და ჰრქვა მონებით შეგინებულს ქვეყნიერობას: «არღა გეტყვით თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცის, რასა იქმნ უფალი მისი; ხოლო თქვენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქვენ.»

აღზდგა იგი ნუგეშ-მცემელი ღმერთი, რომელმან ჰსცა ნუგეში სასო-წარკვეთილს კაცობრიობას ამ სიტყვით: «ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა.»

აღზდგა იგი ყოვლთა შემწყნარებელი ღმერთი, რომელმანც უბძანა ჩაგრულთა, სოფლისაგან ძლევეულთა და დევნულთა: «მოვედით ჩემთან, მაშვრალნო და ტვირთ-მძიმენო, და მე განგისვენოთ თქვენ.»

აღზდგა იგი ღმერთი მადლისა, სიყვარულისა და გაჭირებულთა განკითხვისა, რომელმანც სიმშილი, წყურვილი, სიშიშვლე, სნეულ-ყოფა, პყრობილება თვითვეულის ადამიანისა თავის საკუთარ სიმშილად, წყურვილად, სიშიშვლედ, სნეულ-ყოფად, პყრობილებად მიითვალა და ჰრქვა წყალობით გამკითხველს ადამიანს: «მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამიდგან სოფლისათ, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასვჳთ მე; უცხო-ვიყავ და შემიწყნარეთ მე, შიშველ-ვიყავ და შემმოსეთ მე, სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე, საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემთა... ამინ გეტყვით თქვენ: რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ!»

აღზდგა იგი სიკვდილით სიკვდილის დამთრგუნველი ღმერთი, რომელმანც, რა მოიწია ჟამი მისის ვნებისა, «აღიხილნა თვალნი თვისნი ზეცად და სთქვა: მამაო, მოიწია ჟამი ჩემი! ადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ. მე გადიდე შენ ქვეყანასაზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ვჰყო. წმიდა ჰყვენ, ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყვა შენი ჭეშმარიტ-არს; რათა ყოველნი ერთ-იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი. მე დიდებაი, რომელიც მომეც მე, მივეც მათ, რათა იყვნენ ერთ ვითარცა ჩვენ ერთ ვართ მე მათ შორის და შენთანა; რათა იყვნენ სრულ ერთობითა და რათა უწყოდეს სოფელმან, რამეთუ შენ მე მომავლინე და შეიყვარენ იგინი, ვითარცა მე შემიყვარე».

აღზდგა იგი კაცთა მხსნელი ღმერთი, რომელიც მის მიერ ხსნილთა კაცთავე «განჰსძარცვეს და ქლამიდი მეწამული შეჰმოსეს; შესთხზეს გვირგვინი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცეს მარჯვენესა ხელსა მისსა და მუხლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემღეროდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ურიათაო! და ჰნერწყვიდეს მას და მოიღეს ლერწამი და სცემდეს თავსა მისსა.»

აღზდგა იგი ჯვარ-ცმული კაცთაგან კაცთ-მოყვარე ღმერთი, ღმერთი, ყოვლად მხსნელის სიყვარულისა, შენდობისა და მიტევებისა, რომელიც ნამეტნაობისაგან მოწყალებისა, სიბრალულისა და შეწყნარებისა იტყოდა მტერთათვის: «მიუტევე. მამაო, რამეთუ არ იციან რას იქმან».

«და აჰა ძვრა იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისა გარდამოხჰდა ზეცით» და აღზდგა ქრისტე მაცხოვარი ჩვენი!..

აღზდგა იგი ღმერთი მკვდრეთით, რომელმანცა სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა და განახლებულს კაცობრიობას ახალი ცხოვრება მიანიჭა.

ქრისტე აღზდგა!.. ი.

* * *

ცხრამეტი საუკუნე მას აქეთ, რაც პირველად ქვეყანაზედ გაისმა მაღალი, ღვთაებრივი სიტყვა: ზეცით-მოვლენილი, ხორც-შესხმული, ჯვარ-ცმული ღვთაება აღსდგა მკვდრეთით, დასთრგუნა სიკვდილი და მოანიჭა კაცთა ცხოვრება საუკუნო. ცხრამეტი საუკუნე მას აქეთ, რაც კაცის უმეცრებამ დაანთქია უმანკო სისხლი კაცთ-მოყვარულის მოძღვრისა, ცხრამეტი საუკუნე მას აქეთ, რაც, უმანკო სისხლით მორწყულ დედა-მიწაზე აღმოსცენდა და მოეფინა ქვეყანას ის მოძღვრება, რომელმაც მარჯვედ შესცვალა კაცობრიობის ცხოვრება, ის მოძღვრება, რომელმაც პირველად აუწყა ქვეყანას, რომ ყოველი კაცი ერთის ბუნებით, ერთის სახით არის შექმნილი, რომ ყველა თანასწორია ღვთისა წინაშე. დავრდომილი, გახრწნილი, სულით და ხორცით ტანჯული კაცობრიობა ისე მოელოდა ამ სანუგეშო, სიცოცხლის ჩამდგმელს, სულიერის სიკვდილისაგან მხსნელ მოძღვრებას, როგორც გადამხმარი, გადამწვარი მინდორი ზეცის ნამსა. ძველი, განვიადებული ბერძენ-რომაელთ ცივილიზაცია მძიმე ტვირთად, მძელ ასატან უღლად გარდიქცა კაცობრიობისათვის. კაცობრიობა ვეღარ უძლებდა მძიმე ტვირთს, ვეღარ იტანდა მძელ უღელს და უნუგეშო, სასო-წარკვეთილი დრტვინავდა და იღვწოდა... ორი ერი, რომელთაც იმ დროს მთელი კაცობრიობის სვე-ბედი ხელში ეპყრათ, სრულიად დაეცა. რომაელების თვალ-გადუწვდენელი სამფლობელო, რომელმაც შთანთქა მთელი ძველის-დროის წვრილმანი ერები, ერთს უშველებელ უზარმაზარ მანქანას წარმოადგენდა. ამ მანქანის მმართველად, მეთვალ-ყურედ, მწარმოებლად საბრალო, ზნეობით და გონებით დაცემულნი, გარყვნილნი, ძალ-ღონე გამოცლილნი იმპერატორები ითვლებოდნენ. უმთავრესს ძალას კი, რომელსაც ეს საზარელი მანქანა მოძრაობაში მოჰყავდა, ყველა კაცობრიულებას მოკლებული მდაბიო ხალხი და პირუტყვულ მუშაობით გაოგნებული, ჭკუა-გონებას გამოცლილი მონები შეადგენდნენ. მანქანა ბარბაროსულის წინ დაუხედაობით, უანგარიშოდ, განუწყვეტლივ მუშაობდა. აუარებელ ძალას ჰლომავდა უგუნურად, უთვალავ, განუსაზღვრელ საზღოს ინთქავდა და გაძღომა [illegible] უწყოდა. მერე რა გამოდიოდა? მანქანის ნაწარმოებს, ნამუშევარს არამც თუ ახლოს უდგებოდა ვინმე, პირ-იქით, ყველა ერიდებოდა, როგორც რაღაცა საშინელს, საზარელს, რომელიც თითქოს ხელის შეხებისათანავე სიკვდილს უქადდა. ამ გვარად მოწყობილ მანქანას, რასაკვირველია, კეთილი ბოლო არ ექმნებოდა. მუშები შორს უდგებოდნენ, სიმწვავით კბილს-აღრჭენდნენ და საზღოს აკლებდნენ იმ მანქანას, რომლის ჯასრაკებიც შეუბრალებლად ხორცს ჰგლეჯდნენ. მანქანას ნელ-ნელა ძალა აკლდებოდა,

ფელეტონი

სააღდგომო

(მოგონება)

— «ქრისტე აღზდგა!»

— «ჭეშმარიტად აღზდგა!»

კურთხეულმც იყავით თქვენ, ტკბილნო და წმინდანო სიტყვებო, რომელთ ერთს ხმას, ერთსა ხსენებას ფრენით გადავყევარ ნეტარ-მოსაგონებელ წარსულში... აჰა, ადგილი, აჰა, ის არე, სადაც წარველო ჩემმა სიყვაწვილემ, აჰა, ის ყმაწვილობა, რომელიც შთანთქა დრო-ჟამმა და რომელსაც ასე ნათლად მიხატავს თვალ წინ ფრთა-შესხმული წარმოდგინება. ამ წარმოდგინების მეოხებით მე ვმზერ ჩემს თავს ათის წლის ბალღად, რომლის გული სავსე და აღგზნებულია დიდებულის დღესასწაულის მოლოდინით. ღმერთო! რა არის ეს დღესასწაული ყმაწვილთათვის და მმერე იქ, სადაც ადამიანის გულთან ერთად, თვით ბუნებაც დღესასწაულობს, სადაც ამ ბუნების მწყობრს ხმასა პასუხს აძლევს ნამდვილთა მორწმუნეთა გულის მხურვალე სასოება!... ყველას ამ დღეს უცინის პირის სახე, ყველა თითქო მოელოდება რაღაც უცნაურს ბედნიერებას, ყველანი აჩქარებით და სისწრაფით მიეცემიან სახვალიო მზადებას... ნათლად, როგორც დღევანდელს დღეს, ვხედავ ამ საყვარელს, ამ ნეტარს ფაცა-ფუცს... იქ, იმ ოთახში, სადაც გუშინ დედის გვერდით მე ვსწავლობდი გაკვეთილს და სადაც ჩვენ—ორის პატარა ძმების გარდა—არავინ ყოფილა, დღეს მთელი კრებულია და ამ კრებულის თვითვეული წევრი გატაცებულია საჩქარო საქმიანობითა. მეზობლების ქალიშვილები, მოწვეულნი სააღდგომო საკერავის მოსათავებლად, ერთი მეორეს ეჯიბრებიან ბეჯითობაში და ელვის სისწრაფით ათამაშებენ ნემსებს, აცა ვინ ვის აჯობებსო. ან კი როგორ არ უნდა აჩქარდნენ, როცა რამდენისამე საათის შემდეგ ეკკლესიის დიდი ზარი დაჰკრავს მწუხრისას და გააუქმებს მუშაობას... ჩვენ პატარა ბალღებმა ეს ყოველისფერი ვიცით და არ ვუშლით მკერავთ. მხოლოდ ხან-და-ხან რომელიმე მათგანი გამოვა დერეფანში, დამიძახებს ან მე, ან ჩემს ძმას, დაგვაზომებს ახალუხის საყელოს, დახედავს კარგად, თავის რიგზეა გამოჭრილი ჯიბეები თუ არა და კვლავ მიეშურება ოთახში... ჩვენ კი... ჩვენ თან ვბურთაობთ ეზოში, თან ვტყობილობთ ახალს ამბებს. ეს ამბები შარბათზე უტკბესნი არიან ნორჩის გულისათვის, თვითვეული ამბავი მოგვითხრობს იმ ბედნიერებას, რომელიც მოგველის ჩვენ ხვალინდელ დღეს. ახალუხები, მაგალითად, მშვენიერი გამოსულა, ჩოხები მოუტანიათ თერძისაგან, ახალი «სავაქსო» ჩექმები შენახულია სადაც რიგია. ბევრი სხვა საიმედო ნიშნებიც სჩანს ოჯახის სამფლობელოში. ის შავ-ჩოხა ბიჭი, რომელიც ჩამოვიდა წელან ეზოში და რომელიც ასე შეაშინა ჩვენმა ავ-გულა მერცხალამ, თურმე მეფურნის ბიჭი ყოფილა. რა კარგი იქნებოდა, წინედ გვცოდნოდა ეს ამბავი და ჯეროვანად გაგვესინჯა ის ტილოში გახვეული პასექი, რომელიც მას მოუტანია!... მაგრამ, ეჰ, არა უშავს-რა, გავუძლებდით ამ ჭირსაც, რომ მეორე უბედურობა არა გვწვეოდა. ჩვენი ცხვარი, აი ის, რომელიც ასე ლამაზი იყო თავის მოლუზულის რქებით და რომელიც არავის არ გაგვატარებდა ეზოში ისე, რომ არ დაგვედევნებოდა უკან, —დაუკლავსთ. ეს საშინელი ამბავი, შემთხვევით გაგონილი, ზარს გვცემს მთელს კრებულს ბალღებისას და ყველანი მივრბივართ მის შესამოწმებლად. მივრბივართ და ვხედავთ!... ღმერთო ჩემო, რას ვხედავთ?!... იმ უღმერთო ზაქარას, რომელმანც ასე კარგი ზღაპრები და ლექსები იცის და ასე საყვარელი კაცია ჩვენთვის, ცალი ფეხით ჩამოუკიდნია ჩვენი რქოსანი მეგობარი ჯლაზე და კიდეც გაუტყავებია სრულიად. აჰა, საბრალოს ტყავი და აჰა, მისი თვალ-დახუჭული უგრძნობელი თავი... საწყალო ბაკაკავ! ჩვენთვის აღდგომაა ხვალ და სიხარული, შენთვის სიკვდილი... ჩვენ ვერც კი ვახერხებთ სამდურავს, ოღონდ პაწია ძმის ტუჩების ცმაცური და დაჰყუტილი გოლცებისაგან თვალები ამტკიცებენ, რომ ის ემზადება სამგლოვიარო ზარის სათქმელად... კიდევ ერთი წამი, მეტი არა და—ჩვენ კიდეც გავიგონებთ ამ პაწია გულით ამოკვნესილს ზარს, მაგრამ ზაქარაც მოხერხებული კაცია. მან იცის, რაც უფრო გაახალისებს პაწია მგლოვიარეს და ამისათვის სასაცილოდ სწკურავს წარბებს და თან დინჯად იწყებს:

«ადგა კატა, წამოვიდა
«თავის დიდის ჯარითაო,
«ბრძანა: «თაგვებს სულ ამოვჟლეტ,
«დამხვდნენ რა გინდა ლაშქრითაო.
და სხვ.

რაც უფრო გრძელდება კატის გალაშქრების ამბავი, მით უფრო ჰდარობს პაწია გული და, დასასრულ, რქოსანი მეგობარი, მისი უდროო სიკვდილი, ზაქარას დანაშაულობა,— ეს სულ ყოველისფერი დავიწყებას ეძლევა; ეხლა სულ სხვა შთაბეჭდილება იტაცებს ჩვენს გონებას, სხვა რამეზეა მიქცეული ჩვენი ყურადღება. ახალი, უფრო დიდი და უფრო საგულისხმო ამბავი ესმა ჩვენს ყურებს: «კვერცხებს ღებავენო!»—კვერცხებს

ცვდებოდა, და ბოლოს სრულიად ასოასოდ დაიშალა. ეს სწორედ ასეც უნდა მომხდარიყო: ძველის კაცობრიობის ცხოვრება, მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილობა ისეთ საეჭვო, საშიშარ საფუძველზე იყო აშენებული, რომ ადრე თუ გვიან უნდა დაღუპულიყო. სხვა-და-სხვა ტომ-გვაროვანი, სხვა-და-სხვა ფეროვანი სახელმწიფო, თუ საზოგადოება მხოლოდ მაშინ იქნება მკვიდრი, ერთ-გვარი სხეული, როდესაც ყველა ამ სხეულის ნაწილები თავის-თავად, ძალ-დაუტანებლივ შეერთებულნი, შედუღებულნი არიან ერთად და არა ძალადობით შერეულნი, მიკოწიწებულნი. — შუღლი, განხეთქილება, მუდმივი ომი, ჯაჭვი და ბორკილი, ხანჯალი და ხმალი, მონება, კაცთ-სიძულვილი, ბუნების და თავისუფლების უარყოფა და შეგინება, გარყვნილობა, ზნეობის დაცემა,—აი რისაგან შესდგებოდა ძველის ხალხის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება, აი რაზედ უნდოდათ ძველ დროს მკვიდრის პოლიტიკურის ჲ სოციალურის შენობის დამყარება. ძველმა დრომ ამაზედ უკეთესი ვერა მოიგონა რა. ამიტომ საკმაო იყო განკაცებული ღვთაება მოვლენილიყო ქვეყანას, როგორც უბრალო, ღარიბი გალილეველი წინასწარმეტყველი და ექუწყებინა კაცობრიობისთვის უკვდავი შეურყეველი ღვთაებრივი კანონი, რომელიც ორის სიტყვით იხატება: «გიყვარდეს მოყვასი»,—რომ ძველი შენობა საძირკვლამდინ დარღვეულიყო და საუკუნოდ დაცემულიყო. ამ ორმა სიტყვამ სული შთაუდგა დავრდომილს, სასო-წარკვეთილებაში ჩავარდნილ კაცობრიობას, თვალი აუხილა და აჩვენა ახალის ცხოვრების გზა. მრავალ-ტანჯული კაცობრიობა დიდის სიხარულით მიეგება ამ სიტყვებს და ძველ ნანგრევებზე ახალი შენობა დააფუძნა. ამ შენობის საძირკვლად ის მტკიცე მირი ჩაედგა, რომელიც ამოდის კაცის სიყვარული, მისის კაცურის ღირსების პატივისცემა და უმეტ-ნაკლებობა. აი ეს არის ის ცხოვრება, რომელიც მოგვანიჭა მაცხოვარმა თავის სიკვდილით და ამავე სიკვდილით დაამარცხა, დათრგუნა ის სიკვდილი, რომელსაც ძველი კაცთ-მძულვარე, მონებრივი ცხოვრება წარმოგვიდგენდა. თუ აქამდინ ახალ მცნებას, ახალ ცხოვრების კანონს სრულიად ვერ შეუმუსრავს ძველის დროის ნაშთი, თუ ახლანდელ ცხოვრებაშიაც კიდევ ვხედავთ კაცთ-მძულვარებას, მონაობას, სისხლის ღვრას,—ამის მიზეზი ის არის, რომ ახალ-ცხოვრების წალკოტში ძველი ნერგი კიდევ დარჩენილა. მოვა დრო და ეს ნერგიც სრულიად ამოიფხვრება; მოვა დრო და ახალი მცნება, ახალის ცხოვრების ყვავილი ვრცლად მოეფინება ჩვენის ცხოვრების ყოველ მხარეს. და მაშინ ეს დღესასწაული უფრო დიდ და ბრწყინვალე დღესასწაულად გარდიქცევა; კაცობრიობა მაშინ უფრო დიდის სიხარულით მიეგებება ამ დღესასწაულს და წმინდის გულით იტყვის: «ქრისტე აღდგა და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო!»

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲑᲓᲘᲗ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲣᲬᲘᲜ.

პატარა ხანს რომ დავივიწყოთ დღევანდელი ბოროტი დღისა და დიდებული უქმე მთელის საქრისტიანოსი შეუბღალველის სიხარულით წელიწადში ერთხელ მაინც უწყინარად გავატაროთ, ცოდვად არავინ ჩაგვითვლის. მართლა რომ დიდებულია ეს დღე! იგი ქრისტეს აღდგების დღეა. ამ დღეს აღზდგა იგი ღმერთი, რომელიც მედ-კაცისად მოევლინა ქვეყანას, ადამიანის ხორცი შეისხა, რათა ზარმაცს ბუნებას ადამიანისას საბუთი არა ჰქონდეს სთქვას: იგი ღმერთი იყოვო და ამიტომ შესძლო სისრულეო. ხორც-შესხმულმა იესომ ეს საბუთი ჩამოართვა კაცსა მით, რომ მედ-კაცისად მოევლინა ქვეყანას, იცხოვრა ვითა ძმამან კაცისამან, წამებას მიეცა ვითა მე-კაცისა, ჯვართ-ეცვა და თვისის განტეხილის ხორცით და დანთხეულის სისხლით მიანიჭა დიდება თვისისა, [illegible] და დიდებულს მოძღვრებასა. განაბნივა მან ბნელი, დაარღვია ძველი მოძღვრება შურის-მიებისა და მსჯავრისა და მის სამაგიეროდ სიყვარული, შენდობა, შეწყნარება, უმეტ-ნაკლებობა, უდიდ-პატარაობა დაუდვა საფუძვლად კაცთა ცხოვრებასა. თავისის წმინდა სისხლით აიაზმა ასხურა ამ დიდებულს მოძღვრებასა და აი დღეს თუ კაცობრიობა რაიმე ნუგეშს გამოელის, სასოება ამ მოძღვრებაზედა აქვს დანდობილი და დამყარებული.

ამიტომაც დღე ქრისტეს აღდგებისა, დღეა ბრწყინვალე სინათლისა, კაცთმოყვარების, ყოვლად მხსნელის სიყვარულის, სულ-გრძელად შეწყნარების, შენდობის და მიტევების აღდგენისა; დღეა იგი იმ ახლისა აღთქმის აღდგენისა, რომელიც «ვითა ანგელოზი უფლისა გარდამოჰხდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა. ხოლო იყო ხილვა მისი ვითარცა ელვა და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი». გვეთია ახალი აღთქმა, დღეს აღდგენილი, და ამ ბრწყინვალეს დღეს ბრწყინვალედ მიგებება უნდა.

დღეს ჩვენ, რასაკვირველია, დავიწყებული გვაქვს ის უწყინარი, საერთო ლხინი, ის სიხარული, ის შექცევა, რომელიც ჩვენთა მამა-პაპათა ჩვეულებად ჰქონიათ ამ დიდებულის დღის სადღესასწაულოდ. დღის ბოროტმა სულ ყველაფერი წალეკა, გული უანგარო სიხარულისათვის მოგვიკლა, დაადნო, ყველაფერი ლუკმა-პურის შოვნას ანაცვალა და ხორციელ არსებისათვის ჭიდილი-და გაგვიხადა ცხოვრების საგნად. თუ შევხედავთო, ამბობს სახელოვანი კარლეილი, ადამიანის უკვდავს ბუნებასა, რომლის ნიჭი და დანიშნულება იგია, რომ მიიზიდებოდეს სამარადისოების (ВѢЧНОСТЬ) მიმართ, თუ შევხედავთო ადამიანს, ღვთისაგან შექმნილს, რომელიც იძულებულია გაჰყიდოს თავისი უფლება სამარადისოებისა შესაბრალს უფლებაზედ, დღეში სამ ჯერ ჭამისას და სმისაზედ—განა ეს ტრაგედია არ არისო იმის თვალში, ვინც ბრმად არ დაბადებულაო. უკვდავი არსება ხელებს აფოტინებს საზიზღარს წუმპეშიო».

ამ სახით, ფასს დაუდებელი სიცოცხლე ადამიანისა, ამ, კარლეილის სიტყვით, უკვდავის არსებისა, შეგინებულია მით, რომ ჭამა-სმისათვის-ღაა დღეს გადაგებული, ხორცისათვის მზრუნველობაშია მხოლოდ ჩანთქმული და უსულო და უგულო ცხოვრების შესაბრალისს ჩარჩოებში მომწყვდეული.

სადღაა დღეს ის გულითადი მხიარულება, ის უწყინარი საერთო შექცევა, საერთო ლხინი, ის ერთმანეთში უბოროტოდ მისვლა-მოსვლა, ის ვაჟ-კაცობის, სიმარჯვის და მხნეობის გამოსაცდელი ასპარეზი, რომელსაც დღიურ ბოროტისაგან ჩაგრული და გულ ჩათუთქული კაცობრიობა, თავის დაღალულს სულსა და გულს აყოლებდა წელიწადში ორ ჯერ თუ სამ ჯერ მაინცა. განჰქრა ყოველივე ესე და სახსოვარი მათი აღგავა დღევანდელის ბოროტის ქარმა, ცხოვრების ყოველის ყვავილის და ნეტარების დამაჭკნობელმა და შემმუსრველმა.

«ხოლო აღდგომის წესი, ამბობს ვახუშტი: იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასვიან სამეფო თასი ოქროსა, ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა და უწყვიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთობა და რომელმან მხარემან აჯობის იყო მხარე-თალარნი სამეფონი და მისციან მათ თვითოეულთა თვითო. მერმე შემოვიდიან მეფისათანა და შექმნიან ნადიმნი და პურობა დიდნი მგოსან-სახიობითა. არამედ კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემდის იყვნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ გალობანი. ხოლო შემდგომად წასვლისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობათა ცემანი».

დიაღ! ყაბახი იყო იგი ასპარეზი, სადაც, ვახუშტის სიტყვით, მეფენი, წარჩინებულნი და მცირებულნი ერთად და განურჩევლად ერთის შექცევით შეექცეოდნენ, ერთის ლხინით ლხინობდნენ...

აი თითქმის ამას მგვანებოდა იგი სურათი, რომელსაც წარმოადგენდა მეფის სასახლე ხოლმე აღდგომას დღეს ყაბახზედ გასვლის წინ:...

მას შემდეგ გაემართებოდა მეფე ყაბახზედ და ცხენოსანი და ხალხი ქვეითად ისხლებოდა თან. ყაბახობას ასე აგვიწერს მეფე თეიმურაზ მეორე.

როდის იქმნების ქორწილი,
ან სხვა დღეობა კარგიო,
ყაბახზედ ოქრო ვაშლს შესვენ,
ძვირფასის იყოს კარგიო,
კარგად დაკაზმულს ცხენს ისხდენ
ზედ არ ეკიდოს ბარგიო,
კურტაკიანთა ვაჟთა სთქვან,
სროლაში, მკლავო, მარგიო.

—

ცხენს ისხდენ კარგად დაკაზმულს,
რახტითა უნაგირითა,
მძიმეს ნაკერის ოროთუქით,
ბუშტით და ყუთაზითაო.
ვაჟ-კაცთა ეცვასთ კურტაკი
ბრტყელისა ზორტებითაო;
დაუწყონ სროლა ყაბახსა,
მათ ცხენის ჭენებითაო.

—

ასე უნდა მას დღეს კაცმან
ამ გზით სროლას ეცადოსა,
მკლავზე მშვილდი შემოიცვას,
წელს ყოდალი გაირჭოსა,
ცხენი შეჰქმრას, პირველ მშვილდსა
ხელით ფეშრი მან უროსა,
მერმე ყოდალს ხელი მიჰყოს,
კილოს მაგრად დაზიდოსა.

—

უნდა მშვილდი დაზეული
ცოტა ხანი გაატაროს,
ჩქარად მიდგეს ყაბახზედა,
ცხენი აღარ დააზაროს;
ყაბახს მუხლი გააცილოს,
მაშინ უნდა გარდეხაროს,
ესროლოს, თუ ჩამოაგდოს,
თავის გული გაახაროს.

—

ასე უთქვამსთ, მისვლა ჰსჯობსო
უფრო ჩამოგდებისაგან,
თუ ორივ სწორს, ხომ ისი ჰსჯობს,
უფრო იქოს ბევრისაგან.
სანამდის არ ჩამოაგდონ,
არ მოეშვენ სროლისაგან,
მას დღეს ღმერთი ვისაც მისცემს,
მოხვდეს მისის ხელისაგან.

—

ვინ ჩამოაგდებს ოქროს ვაშლს
მიართმევს მეფეს წინადა,
ფიცხლავ ჩააცმევს ხალათსა
თავიდამ ფეხამდინადა.
დაამზადებენ საბურთლად
ვაჟ-კაცებს ჩოგანითადა,
ცხენს კაცსა შეადარებენ
წილისა მოღებითადა.

—

ორად გაჰყოფენ, თვითოს მხარს
თორმეტს იქმოდენ კაცებსა;
მობურთალს კაცის თავზედა
მას დღეს მისცემენ ფარჩებსა;
ზედ გარდაშლიან ფერადსა
იქით და აქეთ მაყებსა,
მათთვის სასმელად შარბათსა
თულუხით დასდგმენ საკსებსა.

—

ღებავენო! ამდენ ხანს როგორ არ მოგვივიდა ჩვენ ეს აზრად, როგორ არ გაგვახსენდა, რომ სწორედ დღეს უნდა მოხდეს ეს მარად სამახსოვრო მღვდელთ-მოქმედება.» ჩვენ მივრბივართ სამზადს სახლში და გარს ვერტყმით კერას, სადაც ნაჰაზე დაკიდებულ კარდალაში სდუღს კვერცხების სალები ჰია-ფერი. აქ ბებიას მფლობელობაა, მისი უფროსობაა!... დღეს ის უფრო გულ-ჩვილი, უფრო ტკბილია, ალერსიანია, ვინემ ჩვეულებრივად. დინჯად, აუჩქარებლად აწყობს კვერცხებს კარდალაში, ამოაქვს ისინი იქიდამ უკვე კოვზით და თან მოგვითხრობს ერთს, მეტად საინტერესოს და საუცხოვო ამბავს... თურმე ხვალ შუა-ღამეზე იმ დროს, როცა დაჰკრავს ცისკრის ზარი, ცა გაიხსნება, გაბრწყინდება და გამოაჩენს იმ დიდებულს ტახტს, რომელზედაც ზის ქვეყნად მოსული ღმერთი და რომელსაც გარს ახვევია უთვალავი ანგელოზთა გუნდი. რა შვენიერი სანახავია თურმე ეს დიდებული სახე დიდებისა და როგორის სხივებით იმოსებიან ბებიას თვალები იმა დიდების წარმოდგენის გამო!...

— შენ არ გინახავს, ბებია, ეს სანახავი?

— არა, შვილო, მას ვერავინ ჰნახავს, გარდა უცოდველის კაცისა. აი, ძველად, გამიგონია, იყო თურმე ერთი წმიდა კაცი... და ბებია გვეუბნება ჩვენ ამ წმიდა კაცის ამბავსა, იმ სასწაულსა, რომლის მოწამედ იგი ყოფილა... ამ ლაპარაკში, ამ უსუსურს ტიტინში ჩვენ, დაღლილთ და დასუსტებულთ დღიურ შთაბეჭდილებათა სხვა-და-სხვაობით, თვლემა გვერევა, გვეძინება და იქავ ბებიის გვერდით გადიხრება ჩვენი პაწია თავი და მივიძინებთ უსუსურის ძილითა. ზეციური, ნათელ-მოსილი, უმანკო სიზმრები დასტრიალებენ თავს მძინარე ყრმათა... ვხედავთ ჩვენ გახსნილს ცას, ბრწყინვალე ტახტს, მსხდომარეს მარჯვენედ დიდის ღმერთისა, ანგელოზთა გუნდს, გვესმის ციური გალობა: «ოსანა მაღალთა შინა!». გამოუთქმელი აღტაცება, შიში და კრძალვა ერთად იპყრობენ სასოებით აღვსილს პაწია გულს...

მალე შიში და კრძალვა,—ორივენი ჰქრებიან და უსუსური გული ივსება მხოლოდ-და განუზომელ სასოებითა, სიყვარულითა და სიხარულითა...

—

— ადე, ყმაწვილო, გაიღვიძე... მივდივართ.

გამოვაჰყვეტ მძინარე თვალებს და გაოცებული ვიყურები აქეთ-იქით. ზოგი იცვამს, ზოგს ჩაუცვამს, ყველა მიემზადება სადღაც.

— დოოო! ისმის რიხიანი, დარბაისლური ხმა ეკკლესიის დიდის ზარისა...

— დინ-დონ! დინ-დონ! დიდის ზარის პასუხად რაკრაკებენ მიდამო სოფლების ზარები.

მეც ვატყობ, რასშია საქმე და ფიცხლავ წამოვხტები ზეზე.

ათი-თხუთმეტი წამი კიდევ და ჩვენ ყველა პირ-დაბანილნი, დავარცხნილნი, ახალ ტანისამოსებით დამშვენებულნი მივდივართ ეკკლესიაში... რა მშვენიერია გაზაფხულის ღამე! მოკამკამე, სხივოსანი ვარსკვლავები თითქო უფრო გულს-მოდგინედ ბრწყინავენ აღდგომის ღამეს. ისე იყურებიან, თითქო შემომნატრიან და ღიმილით მეუბნებიან: «ნეტა შენ, ახალი ჩოხა-ახალუხი გაცვია! ნეტავი ჩვენც შენსავით დედა გვყავდეს, რომ შენებრ ჩვენც მოვერთვეითო. იშ, რა ლამაზად პირ-დაბანილი და დავარცხნილი ხარო! ნეტავი შენ, დედა გყავსო»!.. აგე გაპენტილ ბამბასავით მაღლიდამ გადმომცქერიან ლამაზ-ლამაზი ღრუბლები, თითქო თითს მიქნევენ, აქ ჩვენთან ამოდი, ზურგზედ შეგისვამთ და მთელს ქვეყანას მოგარბენინებთო. დახე ამ ჩვენს ჭანდარს, ხომ ამასაც ახალი ტანისამოსი აქვს, ახალი ფოთოლი გამოუტანია, მაგრამ მაინც ჩემს ახალს ჩოხა-ახალუხზედ უჭირავს თვალი, თითქო ჩემი სამოსელი უფრო მოსწონსო. ღმერთო, რა კარგია აღდგომა დღეს ეს ლამაზი დილა!.. ყველას უხარიან, რომ მე ასეთი მოკაზმული და მორთული ვარ. მეც მიხარიან, მეც... მერე რა რიგად!.. აგერ ღობიდამაც კი გამოძვრა ჩიტი, რომ თვალი მომკრას მე. მომკრა თვალი და ისარივით გაჰფრინდა, რომ თავის ამხანაგებს შეატყობინოს ჩემის ლამაზის ჩოხა-ახალუხის ამბავი... ღმერთო, რა კარგია ეს ქვეყანა!.. ყველა მიყვარს, ყველას შევხარი, ყველას ვუყვარვარ და ყველა შემომხარის!.. ეს წითელი კვერცხი!.. მამამ კბილზედ გასინჯა და მითხრა: მაგარიაო. რამდენს დავამტვრევ!.. ახ, რად დაჰკლეს საწყალი ჩვენი ბაკაკა, იმასაც ეცოცხლნა!.. იმასაც ენახა ეს სიხარული, ეს წითელი აღდგომა!..

ახ, ნეტავი კი არ დაეკლათ და!.. რად დაჰკლეს!.. ვის რას უშლიდა, ვის რას აკლებდა!.. ახ, ნეტავი არ დაეკლათ... ყველას უხარიან და საწყალი კი მოკვდა ხმა-ამოუღებლივ!.. ისიც რომ ცოცხალი იყოს, ხომ უკან გამომყვებოდა!!. საწყალი!..

უჰ, რამოდენა ხალხი მიეშურება ეკკლესიისაკენ. ეკკლესია გაჩაღებულია შიგნიდამ, ხოლო გარე ეკკლესიის მიდამო, სადაც სასაფლაოა, ლაპლაპებს ანთებულთა სანთელთა სიმრავლით. წვრილ-ფეხობა, დავალებული უფროსთაგან, უვლის და ჰპატრონობს ამ სანთლებს, რომელნიც უნდა დაიწვნენ სულ საფლავზე მიცვალებულთა სულის საოხებლად.

მობურთალს ბურთი შუგდონ
შუაზედ მოედანზედა,
იწყონ მოჭირვით ბურთობა,
ცდილობდნენ გარდახრასათა,
ზოგი ჰსცემს შიგნით და ზოგი
ნაპირს ურბენდეს მზასათა,
გამოუვარდეს გარს ბურთი,
ეცადოს მოტაცნასათა.

—

მაშინ გამოჩნდეს ვინც იყოს
მაყამდის ბურთის წამღები,
ეცადოს დაბრუნებასა
სხვა კაცი ხელის დამღები,
ხელ უგულმათა შემოჰკრას
მაღალი თავის სავლები,
რა დაუბრუნოს მას ბურთი,
იქმნების გულის საკლები.

—

ვინცა იცის კარგად ტაცნა
ცხენის ყელს არ აცილოსა,
ასე უნდა გადუხაროს,
თავი აღარ აიღოსა:
ბურთი ჩოგნისა ცემითა
მაყამდისა წაიღოსა;
ხელ გარდაყოფით შემოჰკრას
ზნეობაში ჩაიგდოსა.

—

გამოჩნდეს სადავის ცოდნა
ჯარსა და ბურთობაშია;
ვინა ამ რიგად იბურთებს,
იქნების ამხანაგშია.
რომელიც იქით და აქეთ
გაამძვრენ ბურთს მაყაშია,
ჯობნა ეს არის, გახევენ
ფარჩებსა ალებაშია.

—

აიღონ თვითო თვითომან
ამხანაგს ვინც აჯობისა,
ცხენს აჭენებდენ, იმახდენ,
მჯობი გარ ამხანაგისა.
ჩვენ შევიქნებით წითლისა
ფარჩით შემსვევი ჩოგნისა,
ეს კი გათავდეს, სხვა რიგი
ვსთქვა ბურთის თამაშობისა.

—

ერთი არის სხვა ბურთობა
რადრაბაგანს უძახიან;
გადრის ბურთის უფრო ესე
ზნეობაში ჩააგდიან.
ბევრს კი არა, სამს-ოთხს კარგსა
მობურთალსა შეადრიან,
ოთხისათვის სათამაშოდ
ბურთი მიწას გააგდიან.

—

ის არის ვინც რომ ცხენ მალეთ
ბურთი აიღოს ჩოგნითა,
უნდა შეიგდოს მან მაღლა
ცხენისა თამაშობითა,
რომ ჩამოვიდეს ხელ-ფიცხად
მიუხდეს კაის ცოდნითა,
რა ბურთი შესტყეს, შემოჰკრას
ხელ რადათ მაღლა ტყორცნითა.

—

ბურთი შეიგდოს ეცადოს
მერმე ფეშრების ქმნასადა,
სანამ ჩამოვა, დაასწრებს
ჩოგნისა შეგდებასადა.
ჩოგნისა ქათალ-მალაყი
კერამდინ დაასწროსადა,
ის ჩაუარდეს სამჯერა
ზედი-ზედ თუმცა ჰკრავსადა.

—

ორი რადათა, მესამედ
უნდა წინ ამოკვრანია,
უნდა დაასწროს ამოკვრას
ქიჩილოვიას ქნანია.
ესეები ქნას, შესძახოს,
ჰე, ჰევიას ხმანია.
დასრულდა ეს ხომ დრო არის
აწ სხვის ზნეობის თქმანია:

—

ერთი კარგი ზნეობაა
სროლა ვსთქვა აშფაშაგისა:
პატარა დასვან ნიშანი
ქაღალდი, ანუ რაცისა;
როგორც ყაბახზე მისვლა არს,
მასზედაც ისრე არისა;
ზევითა მივა ცხენ ფიცხად,
ხელ-მობრუნებით ესვრისა.

—

სხვა გითხრა კიდევ მოედნის
ცხენს როგორ გააჭენებენ:
ორს კაცს ცხენიანს ერთს იქით
ერთს აქეთ დააყენებენ,
შუაზე გზასა აგდებენ,
კარს ასე გააკეთებენ;
დასძვრენ, ცხენსა ჰკვრენ მათრახსა,
ჯერ თავს არ დაანებებენ.

—

პირველ თავის შენახვითა
ცხენი ყირით მიჰყვანდესა,
რა მივიდეს კარის ახლოს,
იქ მათრახი კიდევ ჰკრესა;
გასარბენლად კარზე ფიცხად
ცხენს დააყრის სადავესა,
მესამეს ჰკრავს, კიდეც აზევს,
რა რომ კარსა გასცილდესა.

—

ჩვენი აწ განსვენებული პოეტი თ. გრიგოლ ორბელიანი ასე მოგვითხრობს და აგვიწერს ამავე ყაბახობას.

გისმენდე: თუ ვით დღესასწაულსა
შექცევით, ლხინით მოწოდებულნი,
ჭაბუკ-მხედარნი ყაბახსა ვრცელსა
ვითა საომრად მომზადებულნი,
ვით ელვად რგულნი ცხენზედ უმრავად,
მოჰქრიან ესრედ ვითა ნიავი...
ჰკრეს ნაღარასა,—განიყვნენ ორად,
აჰა, საამო სჩანს სანახავი!

ცხენთა თქრიალი,
შუბთა ტრიალი,
ჯირითთ სრიალი,
ყურთმაჯთ ბრიალი;

უზანგთა ცემა,
ცხენითგან ხტომა,
კვალად ზეხტომა
და ხმალთ კრიალი!..

ზოგი არწივსა,
ზეცას მფრინავსა
ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა
ჯირითი ზოგის
ზუზუნით მოჰქრის
და მოხვდა ქვაზე თასს ნიშნად დგმულსა....

აღდგომის წითელი კვერცხი უცხოეთში.

ყველა ქრისტიან ხალხსა აქვს ჩვეულებად აღდგომას წითელი კვერცხით გახსნილება,—და როგორც საფიქრებელია, ეს უნდა იყოს სიმბოლო ქრისტეს აღდგომისა. ზოგნი ამბობენ, წითელი კვერცხი შემოღებულია სახსოვრად იმ ამბავისა, რომ როცა ალექსანდრე სასტიკი დაიბადა, ერთმა მის ნათესავის ქათამმა წითელი კვერცხი დასდოო. ყველაზედ დასაჯერი კი ის აზრი უნდა იყოს, რომ ძველად კვერცხი განცოცხლების სიმბოლოთ სწამდათ და ქრისტე რომ აღსდგა, იმ დღეს დასდეს პირველთა ქრისტიანთა კვერცხით ერთმანეთის მილოცვა და საყდარში კურთხევა ნიშნად განახლებისა და ახლის აღთქმისათვის განცოცხლებისა.—მე-XIII საუკუნეში პარიჟში, დიდები, სტუდენტები, ახალ-გაზრდა ბიჭები შეიყრებოდნენ მეიდანზედა, და გაემგზავრებოდნენ ეკკლესიისკენ ბუკითა და ნაღარითა, საყდარში წირვის დროს გალობდნენ და შემდეგ დაივლიდნენ მთელ ქალაქს კვერცხების მოსაგროვებლად.. აგრეთვე ჩვეულებად იყო ერთმანეთისთვის წითლის კვერცხის გაგზავნა, და ხშირად ეს კვერცხები დიდის ხელოვნებით იყო დახატული და დიდი ფული ღირდა.. ყოველს სახლში ყმაწვილებს და მოსამსახურეებს სახლის თავი დაურიგებდა კვერცხებსა.—ამ უკანასკნელ ორ საუკუნეში საფრანგეთის მეფის სასახლეში ჩვეულებად დაიდო, აღდგომა დღესა მეფეს დიდის კალათით ვარაყით შემკულ კვერცხებს შეუტანდნენ და იგი მათი ულოცვიდა დღესასწაულს თვის ამალასა. ამ კვერცხთა შორის, როგორც ზემოთა ვსთქვით, ერია მშვენივრად დახატული კვერცხებიც და ეხლა ვერსალის ბიბლიოთეკაში არის შენახული ერთი კვერცხი, რომელიც მიართვეს ლუდოვიკო მე-XV-ის ქალს ვიკტორის, და წარმოადგენს შეუდარებელ ხელოვნებას მხატვრობისას. ბელგიაში, დანიშნულ ყმაწვილ კაცებს, ამ დღეს თავიანთ საცოლეთაგან თაიგულები მოუვიდოდათ ხოლმე, და სამაგიეროდ მათ უსათუოდ კვერცხი უნდა გაეგზავნათ დახატული და საარშიყო ლექსებით შემკული.

პოლშაში აღდგომის მეორე დღეს სახლის პატრონი ყველა სტუმარს მიართმევს წითელ კვერცხსა და ამასთანავე ერთად უნდა უსათუოდ გასტეხონ იგი და შესჭამონ. ეს ჩვეულება პოლშელებმა უცხოეთშიაც გადაიტანეს, და პარიჟში აღდგომის მეორეს დღეს გრაფ ჩარტორიჟსკის სასახლეში დიდი ყოფა არის თურმე. ამ დღეს ყველა წოდების ხალხს, ღარიბს თუ მდიდარს, ნაცნობს, თუ უცნობს, ნება აქვს მივიდეს გრაფის სასახლეში და დანაყრდეს. გრაფი თურმე კარებში სდგას, ყველას წითელ კვერცხს მიართმევს თავის ხელით, კვერცხებს დაუკვრენ ერთმანეთს, როგორც ჩვენში იციან, მერე უსათუოდ უნდა შესჭამონ კიდეც. რადგანაც გრაფი ათასამდე კაცს მიიღებს ხოლმე და ამდენი კვერცხის ჭამა არ შეუძლიან, ამიტომ იგი მხოლოდ პირთან მიიტანს, ვითომ და სჭამს; ასე მოითხოვს ჩვეულება, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, რჯულით უმტკიცესია.

დონ ენ.

დეპეშა

10-ს აპრილს

სკუტარი. ალბანიის მასაშველი ჯარები ემზადებიან საბერძნეთის სამზღვარზედ წასასვლელად.

ბუქარესტი. რუსის ელჩი ურუსოვი გუშინ ლივადიაში წავიდა. შაბათს ლივადიაში წასულა რუმინიის სამხედრო მინისტრი ანგელესკუ.

ლონდონი. «რეიტერის» სააგენტო იუწყება, რომ დიდ სახელმწიფოთ განზრახვა აქვთ საბერძნეთს მოსთხოვონ, დანიშნულ ვადაზე თოფიარაღი აიყაროსო.

ათინა კოროლი თესალიაში წასვლას აპირებს. რაც შიგნით სახელმწიფოში კიდევ დარჩენილი ჯარები იყო, სულ დაუძრავთ და თესალიაში მიჰყავთ. აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ თესალიაში 100,000 ჯარის კაცი არის შეგროვილიო.

პარიჟი. სრულიად უსაფუძლოა ერთის გაზეთის ცნობა, ვითომ საფრანგეთის ელჩის აპპერის პეტერბურგიდამ გადაყვანა იმითი იყოს გამოწვეული, რომ საფრანგეთის მთავრობამ რუსის ანარხისტი კრაპოტკინი საპყრობილიდგან გაანთავისუფლა.

პეტერბურგი. გაზეთები იუწყებიან, რომ 26 აპრილს ჩრდილოეთ გუბერნიების ერობის წარმომადგენელთა კრება შესდგება და საერთო მსჯელობა ექმნება იმის შესახებ, თუ რა საშუალება მოიპოვონ საქონლის ჭირის მოსასპობლად.

ლონდონი. ინგლისის მთავრობას მოლაპარაკება აქვს სხვა სახელმწიფოებთან იმის თაობაზე,—თუ რა საშუალება იხმარონ, რომ ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ომი არ მოსდეს.

ათინა. საბერძნეთს შეუძენია ორი პაკეტ-ბოტი, რომელიც ჰსურთ

აქა-იქ იმავე საფლავებზედ აგორებენ წითელ კვერცხებს,—ეს მიცვალებულთ ულოცავენ ქრისტეს აღდგომას... მეც მინდა ჩავერიო ამ მხიარულ წვრილ-ფეხობაში, რომელიც თავის კისკისით აღვიძებს და ამხიარულებს სევდის და მწუხარების სადგურს, მაგრამ სურვილი სურვილად რჩება... მე მივყევართ იქ, ეკკლესიის დასავლეთის კარებისაკენ, საიდამაც ეხლავ უნდა გამოჩნდეს ლიტანია... მოისმა სამ-რიგი ზარების რეკა და გამოჩნდა საეკკლესიო დროშები... ისინი მოაქვთ მათ, ვისიც გვარი ძველის ძველიდგან დავალებულია ამ საქმისთვის. მათ უკან, სადღესასწაულო სამოსელით, მობრძანდება სამღვდელოება, მის შემდეგ ყველა, ვინც სცხოვრობს და არის სოფელში. ყოველი სახე, თვითეულის ადამიანის შეხედულობა ამტკიცებს, რომ ყველა აქ მყოფნი გარდა მხიარულობისა და სიყვარულისა ურთიერთისადმი არაფერს არა ჰგრძნობენ. მერმე როგორ მორთულან ყველანი. აი, მაგალითად, გაბუძგული მიქელა, რომელიც მუდამ თმა გაჩეჩილი და დაუვარცხნელი დადის, რა რიგ მოლამაზებულა დღეისთვის. რა მოხდენილ და მოსირმიანებულ ჩოხაში გამოჭიმულა, თითქო საქორწილოდ! კარგი არის ჩვენი მეზობელიც ივანა სირმალიძე, უკეთესი მობურთალი და მომღერალი მთელს სოფელში. მაგრამ ვინ არ არის დღეს კარგი!.. ლიტანია სამჯერ შემოივლის ეკკლესიის ირგვლივ და ჩერდება დასავლეთის კარებთან. ორიოდე წამი კიდევ და მოისმა გალობა: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით»... დიდი და პატარა, ხმამაღლა თუ ჩუმად, იმეორებს ამ მშვენიერს სიტყვებს. შევდივართ ეკკლესიაში... წამ და-უწუმ ალსავლეთის კარებიდამ მოისმის სასიხარულო «ქრისტე აღსდგა!» ხალხი გრგვინვის ხმით უპასუხებს:—«ჭეშმარიტად აღსდგა!» გათავდა ცისკარი, წირვა და გამოვდივართ ეკკლესიის გალავანს გარედ... დიდი ას წლოვანი ჭანდრებით დამშვენებული მინდორი მოვარაყებულია დილის ოქროვან სხივებით. დიდი და პატარა, ქალი და კაცი,—ულოცავენ ერთმანეთს სიხარულის დღეს და ეამბორებიან ძმურად სიყვარულის ნიშნად...

— მოიცა, ბიჭო, სად მირბიხარ?— ქრისტე აღსდგა! შე ეშმაკო, მეუბნება მეც ერთი უზარ-მაზარი გლეხი და მჩხვლეტს პირის-სახეს თავის ულვაშებით.

— ციცირის კვერცხს გაჩუქებ, თუ მეტყვი,—რა ჰქვიან რუსულად გვანგვალასო, ამბობს თავის მხრით ხუმარა დათიელა და გულიანად იცინის, რომ ვცდილობ და ვერ მომიხერხებია...

— დამიკარ კვერცხი, თუ ბიჭი ხარ, მეუბნება ჩემი ნაცნობი გლეხის ბიჭი.

— დიახ, როგორ არა!.. მინდა ძალ-ღონე ჩემის კვერცხისა ვცადო და არც მინდა: ვტოკავ და ვებრძვი ჰოსაცა და არასაც ერთსა-და-იმავე დროს. «რო გამიტეხოს!..» ვამბობ ჩემს გულში: ჩემი ლამაზი კვერცხია! მე რომ გავუტეხო!.. რა გამეხარდება!.. შემომეხვევიან ჩემი ტოლები: ერთი გვაჩვენე, ეგ რა კვერცხი ყოფილა ეგეთი მაგარი, ჩაკირული იქნება. არა, ღმერთმანი მეთქი, ვეუბნები და არ მიჯერებენ. მე კი მიხარიან და მიხარიან, რომ ჩემმა კვერცხმა აჯობა... რომ ვერ აჯობოს!.. ვაი სირცხვილო!.. ამ უწყინარ და მზიან-ჩრდილიან ტოკვაშია ჩემი პაწია გული...

— დღეს კი... სადღა არის დღეს ის დღე! ბუნება სიცოცხლეში მარტო ერთხელ გვარგუნებს ხოლმე ყმაწვილობას, ამ ნეტარს, უმანკოს, გულ-უბრყვილს ასაკსა!.. წავიდა იგი ყმაწვილობა, როცა სიხარული მართალი სიხარულია, როცა სიყვარული უანგარო სიყვარულია, როცა ძმობას, თანაბარობას სარჩულად ანგარიში არა აქვს, როცა ყველას ჩვენ ჩვენის უსუსურის გულით შევხარით, და გვგონია, რომ იმავე სიწრფოებით შემოგვხარიან ჩვენ, როცა ჩვენი უწყინარი ტიტინი ყველასათვის მღერა და გალობაა, როცა ეგ უცოდველი ტიტინი ყბედობად და ლაყბობად არ გადაქცეულა მოძმეთა კილვისა და კიცხვისათვის. წავიდა იგი ნეტარებით ალსავსე დღე, წავიდა იგი ასაკი, რომლისათვის ყოველთვის განმზადებულია სასუფეველი ცისა, სიტყვისამებრ ჯვარ-ცმულის ღმერთისა და დღეს მკვდრეთით აღმდგარისა.

იყურები აქედ-იქით დამაშვრალის თვალით, ჰსწუხ და ჰნაღვლობ, სად არიან შენნი ყრმობის ნაცნობნი და მეგობარნი, რომელთან ერთად სიხარულით ეგებებოდი აღდგომის დღეს. აგერ ცულლუტი, ყოველთვის თმააწეწილი მიქელა გამოსალმებია ამ წუთის სოფელს; სძინავს საუკუნო ძილითა ხუმარა დათიას, დადუმდა ენა-მეტყველი, სიტყვა-სწრაფი, ამხანაგობისათვის თავ-დადებული პეტრე და მის სამარესავით მდუმარებს ჩემი ყმაწვილური გრძნობაც, რომელმაც თვისი საფლავი გაითხარა ჩემს გულში და ღრმად დაიმარხა. და ეხლა მარტო ერთი მოგონება-ღა მრჩენია მისი, რაც საუკუნოდ დავკარგე. იგი მოგონება, დღეს ჩემს გულში შტო გაშლილი, ვარდსა ჰგავს სამარეზედ ამოსულსა.

აღსდგა ქრისტე და აღმიდგინა იგი მოგონებაცა ყრმობისა და სასოება ასაკ-სრულისა.

ილ. ხონელი

თურმე კრეისერად გადააკეთონ და კრუპის ზარბაზნებით შეაიარაღონ.

აქაურ მმართებლობის წრეებში ყველა დარწმუნებულია, რომ საფრანგეთი თანაუგრძნობს საბერძნეთის დავას.

სამხედრო მინისტრს გაუშინჯავს სამზღვარზე შეგროვილი ჯარი და მართებლობისათვის მოუხსენებია, რომ ჯარი კარგ მდგომარეობაშიაო და ყველაფერი საკმაოდა აქვსო. გადაუწყვეტიათ, დანარჩენი სარეზერვო ჯარებიც თოფ-იარაღ ქვეშ დააყენონ.

სტამბოლი. ელჩი ნელიდოვი და ათინელი რუსის ელჩი ლივადიაში წამოსულან. სერვერ-ფაშაც პარასკევს იქ მოდისო. შაქირ-ფაშა სოფიაში წამოსულა და თან მოაქვს ფირმანი, რომლის ძალითაც მთავარი ალექსანდრე აღმოსავლეთ რუმელიის გენერალ-გუბერნატორად უნდა დაინიშნოს.

პარიჟი. პალატას 301 ხმის უმეტესობით 151 წინააღმდეგ მიუღია პროექტი მსოფლიო გამოფენისა პარიჟში 1889 წელსა.

პეტერბურგი. «*Journal de St-Petersbourg*»-ი გვაუწყებს, რომ ყველას სახელმწიფონი დათანხმდნენ ინგლისი-წინადადებაზედ და საბერძნეთს ერთხმივ ურჩევენ თოფ-იარაღი აიყაროს. გაზეთსა სჯერა რომ საბერძნეთი აასრულებს ევროპის სურვილსა. ამით უფრო მეტ ნდობას შეიძენს და ევროპაც უფრო მეტად იზრუნებს მასზედ შემდეგშიო. გაზეთი ამასთანავე იმედეულობს რომ სახელმწიფოთა ცდა ამ ხანად მაინც კეთილად დაგვირგვინდება.

ათინა. წინა გუშაგთა თოფის სროლა ჰქონიათ, თუმცა კი არაფერი სხვა არ მოჰყოლია: არც ერთს მხარეს ზიანი არ მოჰსვლია. დიდ სახელმწიფოთა ულტი-მატუმს ყოველ საათს მოელოდებიან.

11 აპრილს

პეტერბურგი. სახელმწიფო რჩევამ დაადგინა: წესდებულებას სამხედრო ბეგარისას დაემატოს შემდეგი წესიცა: თუ ოჯახის მდგომარეობის გამო შეღავათი დაენიშნოთ, ძალითა 45-51 მუხლისათა, დაბრუნება ოჯახში სახლის-კაცისა ან ახლად მოწოდებულისა, ან უკვე ჯარის სამსახურში მყოფარისა უნდა გაანგარიშებულ-იქმნას იმა წლის 1-ს იანვრიდამ როცა ეძლევათ ეგ შეღავათი.

ლონდონი. რადიკალის ლაბუშერის თავ-მჯდომარეობით გაიმართა მიტინგი და ამ მიტინგმა გამოაცხადა, თანახმანი ვართო გლადსტონის პოლიტიკისა ირლანდიის საქმეთა შესახებო.

ლემბერგი. გალიციის მოხელეობის განკარგულებით ას-ოცი ჯარის კაცი გაგზავნილ იქმნა ქალაქს გრიბოვეს და ცეშკოვეცს, რადგანაც ამ ადგილებში არეულობას მოელიან.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუჩვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი— უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,
ამაღლება მოდის—22 მაისს, სულის წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

აპრილი 30 დღით არის

13 დღე კვირა. წმ. აღდგომა ქრისტესი. წმ. მოწამე არტემონისა. სომეხთა და ფრანგთა: წმ. აღდგომა. ხსნილი ქართველთა ოთხშაბათ-პარასკევსაც კვირა-ცხოვლამდე, სომეხთა—ამაღლებამდე. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—51. ტფილისში მზე ამოდის 5—5; ჩადის 6—52. მთვარე ამოდის 12—31 ნღ. ჩადის 10—16.

14 დღე ორშაბათი. აღდგომის მეორე დღე. წმ. მარტინისა, ხსოვნა წმ. მამათა, მოწყვედილთა დავით-გარესჯის უდაბნოში 1617 წ. სომეხთა. ჰიპატაკ მერელოც. კათოლიკ. ბრწყინვალე ორშაბათი ვალერინისა და მაქსიმესი. შობა მ. იმპ. უმაღლესობისა დიდის მთავრის ნიკოლოოზ მიხეილისძისა (27 წლისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 12-57—41. ტფილისში მზე ამოდის 5—3; ჩადის 6—53. მთვარე ამოდის 1—12 ნღ. ჩადის 12—10.

15 დღე სამშაბათი. წმ. მოც. არისტარხოსი, ქალ. მოწ. ანასტასია, წმ. სუქიასი და მოყმეთა მისთა. წმ. მამათა მოწყვეტილთა დავით გარესჯის უდაბნოსა. მთვარე 24 დღისაა. კათ. კრესცენტიისა და ანასტასიის. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—31; ტფილისში მზე ამოდის 5—2, ჩადის 6—54; მთვარე ამოდის 1—48 ნღ., ჩადის 0—5.

16 დღე ოთხშაბათი. წმ. ქალ. მოწ. აღაპია, ირინა და სხვა. კათ. კალიკსტისა. სტ. სოვეტ. კოვალენსკი დაინიშნა რუსეთის მინისტრად საქართველოს მეფის გიორგის კარის წინაშე 1799 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—22; ტფილისში მზე ამოდის 5—1, ჩადის 6—55; მთვარე ამოდის 2—21 ნღ. ჩადის 1—1.

17 დღე ხუთშაბათი. ეპისკ. სვიმეონ, აკაკისა. კათ. რუდოლფისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—13. ტფილისში მზე ამოდის 5—0. ჩადის 6—56, მთვარე ამოდის 2—53 ნღ. ჩადის 1—58.

18 დღე პარასკევი. ღირს. ივანე კოსმა. კათ. აპოლონისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—5. ტფილისში მზე ამოდის 4—58, ჩადის 6—57; მთვარე ამოდის 3—23 ნღ. ჩადის 2—56.

19 დღე შაბათი. ღირსისა იოანესი, ტრიფონისა სომ. თავის კვეთა წმიდ. იოვანე ნათლის-მცემელსა. კათ. ლეონისა. მუსულ. 27 დღე თთვისა რეჯაბ 1303 წ. ჰიჯრისა. მაჰმადმა თავის თავი წინასწარმეტყველად გამოაცხადა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—57; ტფილისში მზე ამოდის 4—57; ჩადის 6—58, მთვარე ამოდის 3—53 ნღ., ჩადის 3—47.

20 დღე კვირა. კვირაცხოვლობა ღირს. თეოდორე, ანასტასია. კათ. ვიქტორისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—50; ტფილისში მზე ამოდის 4—55, ჩადის 6—59; მთვარე ამოდის 4—14 ნღ., ჩადის 4—51.

21 დღე ორშაბათი. იანუარია, სოკრატ დიონოსისა. კათ. ანსელმისა, სიმეონისა. მეფე იმერეთისა სოლომონ ფიცსა სდებს რუსეთის წინაშე ქვეშევრდომობაზედ და ამის შემდეგ იმერეთსა და სამეგრელოში შედის რუსის ჯარი 1804 წ. ჭეშმარიტა შუა-დღე 11—56—44; ტფილისში მზე ამოდის 4—55, ჩადის 7 საათ.; მთვარე ამოდის 4—39 ნღ.; ჩადის 5—47.

მაზანდა.

1 აპრილიდამ 1-ლ მაისამდე

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2½ ,
, , 2 ,	2 ,
ჯვარის მამის პური ნისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ ,
მე-2 ხარისხისა	3 ,
მე-3 —	2½ ,
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 ,
2 —	7 ,
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 ,
ცხვრის ხორცი	9 ,

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31-

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 სღ
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსდა კერჩში შევლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით

განცხადებანი

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელთა მოწაფეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტი, წესდებისა მე 7 მუხლის ძალით, უმორჩილესად სთხოვს მოხსენებულ საზოგადოების წევრთა და ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებელთა, რათა მობრძანდნენ წლიურ საერთო კრებაზე 3 მაისს 1886 წ., საღამოს 6 საათზე, სათავად-აზნაურო სკოლაში, ჩითახოვის სახლში.

საერთო კრების განსახილველი იქნება;

1) წლიური ანგარიში სათავად-აზნაურო სკოლისა;

2) ამორჩევა გამგე კომიტეტის თავ-მჯდომარისა;

თავ-მჯდომარის ამხანაგისა და დანარჩენთა წევრთა. კომიტეტისა.

(4—2)

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მსესხებელთ, რომ ბანკის წესდების 82 ძალით 4 მაისს ამა 1886 წ. დილის 10 საათზედ დანიშნულია საერთო კრება წევრთა არწრუნისეულს სახლში, სასახლის ქუჩაზე. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგ საგნები

1) ანგარიში ბანკის მოქმედობისა 1885 წ. განმავლობაში.

2) მოხსენება ბანკის მმართველობისა იმ მამულების თაობაზედ, რომელიც ბანკს დარჩა.

3) მოხსენება ბანკის მმართველობისა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზედ 1886 წლისათვის.

4) მოხსენება მმართველობისა და ზედამხედველის კომიტეტისა იმის თაობაზედ, თუ როგორ განაწილდეს საყოველთაო საჭიროებისათვის 35% წმინდა მოგებისა.

5) მოხსენება იმის თაობაზედ, თუ რა შემწეობა მიეცეს ანასტასიის საქალებო პროგიმნაზიას გორში.

6) არჩევანი ზედა-მხედველის კომიტეტის სამის წევრისა ნაცვლად თ. ი. ა. ანდრონიკოვისა, ლ. ა. მაღალაშვილისა და გ. მ. თუმანიშვილისა, რომელნიც თავს ანებებენ კომიტეტს.

7) არჩევანი მმართველობის ერთის წევრისა ნაცვლად თ. ი. გ. მაჩაბლისა, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს მმართველობასა.

8) არჩევანი დამფასებელ კომმისიის ორის წევრისა ნაცვლად თ. გ. ს. ციციშვილისა და ა. ნ. ფურცელაძისა, რომელნიც რიგისამებრ ანებებენ თავს კომისის. (5—2)

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-79 § ძალით, წლიური მორიგი საზოგადო კრება ხსენებულის ბანკის ბ.ბ. წევრთა არის დანიშნული ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, ამა 1886 წლის ოთხს მაისს, დილის 11 საათზე. თუ ეს კრება არ შესდგა, მაშინ, იმავე წესდების მე-38 § თანხმად, ინიშნება მეორე იმავე მაისის თერამეტს, დილის 11 საათზე.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არიან:

ა) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1885 წლისა.

ბ) დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1886 წლისა.

გ) შეცვლა და დამტკიცება ზოგიერთთა ბანკის წესდების §§

დ) აღნიშნვა იმ საგნებისა, რომლებზედაც უნდა მოხმარებულ იქმნეს საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადადებული ფული.

ე) აღრჩევა რიგით გამოსასვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის ერთის წევრისა, ზედამხედველის კომიტეტის ორთა წევრთა და ბანკის გამგეობის წევრთა ერთის კანდიდატისა.

(1—1)

იძლევა ქირით სარდაფი

კირპიჩნისა და ოლღინსკი ქუჩის კუთხეში, ტ. გაბაშვილის სახლებში.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა

გრიგოლ გურიელის გამოცემა

ილია ჭყონიას რედაქციით.

ფასი სამი მანეთი.

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაუთმობათ წიგნზედ ათი შაური.

Prince T. Dadischkéliani

L' ARMÉE-GÉORGIENNE

au

Moyen âge

par

J. Mourier

თ. თათარხან დადიშქელიანი

საქართველოს მხედრობა

შედგენილი

მურიეს-მიერ

Дозволено цензурою Тифлисъ 12 апрѣля, 1886 г.

ქ. ხელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში.

რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.